



**ევროკავშირი
საქართველოსთვის**
Project funded by the European Union



KFW



**აჭარის წყლის
ალიანსი**

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N26
სექტემბერი, 2022

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების დირექტივები წყლის ხარისხისა და რესურსების მართვის შესახებ

საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება 2014 წელს გაფორმდა. შეთანხმების მიზანს, ევროკავშირისა და საქართველოს შორის ისტორიული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან დაახლოება წარმოადგენს.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველომ ევროკავშირის დირექტივების კანონმდებლობაში ასახვის ვალდებულება აიღო.

წყალი და მასთან დაკავშირებული საკითხები ევროკავშირის კანონმდებლობის რეგულირების ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს. ევროკავშირში წყლის შესახებ საკითხები, წყლის ჩარჩო დირექტივის ფარგლებში რეგულირდება. იგი ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებული ზედაპირული წყლის ობიექტების, მინისქვეშა წყლებისა და სანაპირო წყლების შესახებ ერთიანი ჩარჩო პოლიტიკის დოკუმენტებს აერთიანებს.

საკანონმდებლო საკითხების გარდა, ევროკავშირი საქართველოში თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, არაერთი პროექტის თანადაფინანსებელია. აღნიშნული პირდაპირი მფინავი უწყობს ხელს როგორც ევროპული სტანდარტის დაფუძნებას საქართველოში, ისე გაეროს მდგრადი განვითარების 6.1 და 6.2 მიზნების მიღწევას, კერძოდ უზრუნველყოფს ადამიანებისათვის უსაფრთხო, ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე და სანიტარულ და ჰიგიენურ ნორმებზე საყოველთაო და თანაბარ წვდომას.

ამ ეტაპისთვის, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივით გათვალისწინებული მრავალი საკითხი, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არარეგულირებადი, ბუნდოვანი, ან მოძველებულია.

ასოცირების ვალდებულებების ფარგლებში, დაგეგმილია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის მიღება, რომელიც დაარეგულირებს ისეთ საკითხებს როგორცაა:

წყალსარგებლობის წესი, წყლის ინფრასტრუქტურული ობიექტების დაპროექტება და ექსპლუატაცია, წყლის რესურსების დაცვა, მდინარის აუზების ინტეგრირებული მართვა, წყალმომარაგების ობიექტების კლასიფიკაცია, წყლის ხარისხი, წყლის დაბინძურების საპრევენციო ზომები, ჩამდინარე წყლების შეკრება და დამუშავება, წყალდიდობის რისკის შეფასება და ა.შ. ასევე, ახალი კანონმდებლობა უზრუნველყოფს, წყლის რესურსების რეგულირების და პასუხისმგებელი ინსტიტუტების გამოკვეთას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, სარეაბილიტაციო სამუშაოები, წყლის ხარისხობრივი მახასიათებლების შესწავლა, წყლის მონაცემთა ბაზის შექმნა და შემდგომში სისტემების ოპერირება დაფუძნებულია ევროკავშირის სტანდარტებზე. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული დაბები და სოფლები, სრულად დააკმაყოფილებს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ფარგლებში დაგეგმილი ასამოქმედებელი კანონის მოთხოვნებს.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამცვლით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



KfW



აჭარის წყლის
ალიანსი

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N26

SEPTEMBER, 2022

Directives of the Association Agreement Between Georgia and the European Union on Water Quality and Resource Management

The Association Agreement between Georgia and the European Union was signed in 2014. The purpose of the agreement is to deepen the historical political and economic relations between the European Union and Georgia, to bring Georgia closer to the legislation and standards of the European Union.

By signing the association agreement, Georgia committed itself to reflecting the directives of the EU directives in legislation.

Water and related issues are one of the areas of regulation of EU legislation. EU water issues are regulated within the framework of the Water Framework Directive. It brings together common framework policy documents for surface water bodies, groundwater and coastal water across the European Union.

In addition to legislative issues, the EU co-finances a number of projects aimed at building a modern communal infrastructure in Georgia. This directly contributes to the establishment of the European standard in Georgia, as well as the achievement of UN Sustainable Development Goals 6.1 and 6.2, in particular, it provides universal and equal access to safe, affordable drinking water and sanitary and hygienic standards for people.

At this stage, many of the issues covered by the EU Water Framework Directive are non-regulated, unclear or outdated under Georgian legislation.

Within the framework of the association's obligations, it is envisaged to adopt the law "On Water Resources Management", which will regulate such issues as:

Rules for water use, design and operation of water infrastructure facilities, protection of water resources, integrated management of river basins, classification of water supply facilities, water quality, measures to prevent water pollution, collection and treatment of waste water, flood risk assessment, etc. Also, the new legislation provides for the regulation of water resources and delimitation of responsible institutions.

The Rural Water Supply and Wastewater Programme in Ajara is co-financed by the European Union. Construction of water supply and waste water infrastructure facilities, rehabilitation works, study of water quality characteristics, creation of water database and operation of further systems within the framework of the programme are based on EU standards. Accordingly, the programme semi-urban areas and villages will fully comply with the requirements of the law, which is planned to be implemented within the framework of the Georgia-EU association.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.

"Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge